

ლანჩხუთის ეკონომიკური განვითარების გეგმა მომზადებულია ევროკომისიის ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ტექნიკური მხარდაჭერით. მერის ინიციატივით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 2018 წლის ოქტომბერში გახდა ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ კლუბის წევრი. კლუბის წევრად გახდომისას მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება 12 თვის განმავლობაში მოემზადებინა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა. დოკუმენტის სამოქმედო გეგმა მოიცავს 2 წლის პერიოდს. გეგმის შედგენის ძირითადი მიზანი იყო სწორად გაგვეანალიზებინა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, ამ ანალიზზე დაყრდნობით წარმოგვედგინა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა და დაგვესახა განსახორციელებელი ღონისძიებები. გეგმა მოიცავს ღონისძიებების განხორციელების კონკრეტულ ვადებს, სავარაუდო ბიუჯეტს და შეფასების ინდიკატორებს.

გეგმის შედგენის პროცესში შეიქმნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა. შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობისას უპირატესობას ანიჭებდა ინდივიდუალურ შეხვედრებს. არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის სამუშაო ჯგუფი ხვდებოდა სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. ამის გამო, მომზადებული გეგმა გამოვიდა რეალური და ყველასთვის მისაღები. დოკუმენტი განხილული იქნა მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ და ინიციატივა “მერები ეკონომიკური ზრდისთვის” მიერ შეფასდა საუკეთესოდ.



ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
საქართველო

სექტემბერი 2019

მერის მიმართვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის ამაღლება და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდა ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიზანია. გეოგრაფიული მდებარეობა, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები, მრავალფეროვანი ტურისტული და კულტურული ობიექტები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სწორად დასახული მიზნებისა და მისი განხორციელების გზების საშუალებით უახლოესი ორი წლის ვადაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიღწევა. გეგმის შემუშავების პროცესში ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო ოყო კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან კონტაქტი. მათ მიერ დასმულმა საკითხებმა საშუალება მომცა განსხვავებულად დამენახა მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემები.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ევროკავშირის ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული იქნა ქმედითო სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

პირადად მე მაქსიმალურ ძალისხმევას მოვახმარ სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების სრულყოფილად შესრულებას და სტრატეგიული მიზნის მიღწევას. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მონაწილეობდა გეგმის შემუშავების პროცესში. ვიმედოვნებ, რომ მის განხორციელებასა და მონიტორინგში კიდევ უფრო ფართო წრე მიიღებს მონაწილეობას, რათა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი თავისუფალი ეკონომიკური ზონით და განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით გავხადოთ მიმზიდველ ადგილად ადგილობრივი და უცხო ქვეყნის ინვენსტორებისათვის და ავამაღლოთ ცხოვრების საერთო დონე.

პატივისცემით,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი
ალექსანდრე სარიშვილი



გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:

სახელი: *მაია აფხაზავა*

თანამდებობა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი

მისამართი: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა N37, ტელეფონი: +995 591 23 29 29

ელ-ფოსტა: lanchkhuti@yahoo.com

ვებ-გვერდი: lanchkhuti.gov.ge

მოკლე შეჯამება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ხედვას წარმოადგენს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი თავისუფალი ეკონომიკური ზონით და განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით მიმზიდველი ადგილი გახდეს ადგილობრივი და უცხო ქვეყნის ტურისტებისათვის. მიზნის მისაღწევად კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის აქტიური მონაწილეობით დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები. გეგმის შემუშავების დროს გაკეთდა მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი სხვადასხვა პრობლემების სიღრმისეული ანალიზი. განსაკუთრებით იქნა ყურადღება გამახვილებული მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებისათვის გასატარებელ ღონისძიებებზე. ტურისტული მიმზიდველობის გაუმჯობესების მიზნით დაიგეგმა რამდენიმე მაღლბიუჯეტიანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. იმის გამო, რომ ლანჩხუთი ტრადიციულად აგრარული მუნიციპალიტეტად ითვლებოდა გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს ამ სექტორის ანალიზსა და განვითარების პერსპექტივას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მზადაა გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ნაწილის საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსოს, ღონისძიებების ძირითადი ნაწილის დაფინანსება გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კერძო სექტორთან აქტიური მოლაპარაკებების საფუძველზე ღონისძიებების ნაწილის დაფინანსება გათვალისწინებულია კერძო ბიზნესის ხარჯზე. ამასთან ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად და აუცილებელია, გააქტიურდეს მუშაობა დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

1. სარჩევი

მერის მიმართვა
მოკლე შეჯამება
ცხრილების და შემოკლებები
გეგმის შესავალი
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი
ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი
ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება
ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია
წვდომა ფინანსებზე
მიწა და ინფრასტრუქტურა
საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები
უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება
გარე პოზიციონირება და მარკეტინგ
SWOT ანალიზი
ხედვა და მიზნები
სამოქმედო გეგმა
დაფინანსების სქემა
მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

2. დანართები და შემოკლებები

დანართები

დანართი ა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
დანართი ბ. ინფორმაცია და მონაცემები მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ანალიზისათვის

შემოკლებები

LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
ა(ა)იპ - არამომგებიანი (არაკომერციული) იურიდიული პირი

3. გეგმის შესავალი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ შეუერთდა 2018 წლის ოქტომბერში.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით აქტიური მუშაობა დაიწყო მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ღონისძიებების დასაგეგმად. გეგმა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბერი N1363 განკარგულებით დამტკიცებული „გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის“, საქართველოს მთავრობის 11 ივნისის №1292 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის, გურიის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ფარგლებში მომზადებული გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ყველა არსებული დოკუმენტისგან განსხვავებით წინამდებარე გეგმა შემუშავებულია ძირითადად კერძო სექტორის წარმომადგენლთა ინიციატივების გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტი ესაზღვრება შავი ზღვის სანაპირო (საკურორტო) ზოლი, სამეგრელოს-ზემო სვანეთის (ქალაქ ფოთი, ხობი, სენაკი, აბაშა), გურიისა (ჩოხატაური, ოზურგეთი) და იმერეთის (სამტრედია) მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე რამდენიმე ტბა და მდინარეა.

ლანჩხუთის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალები: თბილისი - ბათუმი და ფოთი - თურქეთი. ქალაქ ლანჩხუთიდან ფოთის პორტი 40 კილომეტრითაა დაშორებული, გადაადგილებისთვის საჭიროა 40 წთ, ბათუმის პორტი - 80 კილომეტრით, გადაადგილებისთვის საჭიროა 1 სთ და 20 წთ, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე მანძილი შეადგენს 45 კილომეტრს, გადაადგილებისთვის საჭიროა 40 წთ. ხოლო ბათუმის აეროპორტი - 80 კილომეტრით. გადაადგილებისთვის საჭიროა 1 სთ 30 წთ.

მუნიციპალიტეტში შემავალი 55 დასახლება (1 ქალაქი და 54 სოფელი) 30,8 ათასი ადამიანის საცხოვრებელი ადგილია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 49.18% ქალია, ხოლო 20,3% ქალაქდ ცხოვრობს.

ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი ძალიან საინტერესო და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი იყო. პირველად ჩატარდა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით არსებული ეკონომიკური მდგომარეობის SWOT ანალიზი, რამაც არსებული პრობლემების რეალური სურათი დაგვანახა და მოგვცა საშუალება დაგვეგეგმა ეფექტური სამოქმედო გეგმა.

გეგმის მთლიანი ბიუჯეტია 1,624 მილიონი ლარი. დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსება გათვალისწინებულია. როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, აგრეთვე ვითვალისწინებთ დაფინანსების წყაროებს სახელმწიფო ფონდებიდან და კერძო ინვესტორებიდან. დაფინანსებაში წყვეტა შეადგენს 16%-ს.

4. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისთვის პირველ ეტაპზე მერის ბრძანებით დაინიშნა გეგმის LED ოფიცერი. მერთან შეთანხმებით LED ოფიცერის მიერ შერჩეული იქნა სამუშაო ჯგუფის წევრები. მუნიციპალიტეტის მოხელეების გარდა სამუშაო ჯგუფის წევრებად შერჩეული იქნა სამოქალაქო სექტორის და გურიის რეგიონში

სავაჭრო-სამრეწველო პალატის და კერძო სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ტარდებოდა ყოველი კვირის ოთხშაბათს.

პარტნიორობა შერჩეული იქნა ფართო სპექტრის წარმომადგენლებისაგან. პარტნიორობის ძირითადი ნაწილი შედგებოდა სოფლის მეურნეობის წარმომადგენლებისგან. შემადგენლობაში შედიოდა ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის, მეთხილეობის, მეფუტკრეობის, მეცხოველეობის წარმომადგენლები. პარტნიორობის შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი. პარტნიორობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მშენებერე ტურისტული კომპლექსის მესაკუთრის „ქართული კალათას“ წარმომადგენლებმა. პარტნიორობის შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის და ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები. სულ პარტნიორთა ჯგუფი შედგებოდა 23 ადამიანისგან.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შეთანხმებული იქნა პარტნიორებთან. პარტნიორებთან ჩატარდა ოთხი შეხვედრა. პირველ შეხვედრაზე განმარტებული იქნა ეკონომიკური განვითარების გეგმის არსი და მნიშვნელობა და შეთანხმდა სამუშაო ჯგუფი. მეორე შეხვედრა მიემდგნა ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზის საკითხებს. შემდეგ შეხვედრაზე განხილული იქნა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები და სამუშაო ჯგუფმა პარტნიორებს გააცნო მათ მიერ შემუშავებული ხედვა და მიზნები. ბოლო შეხვედრაზე პარტნიორებთან ერთად განხილული იქნა სამოქმედო გეგმა.

სამუშაო ჯგუფი მუშაობის დროს უპირატესობას ანიჭებდა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, რადგან ბიზნესის წარმომადგენლები იყვნენ უფრო გულახდილები და გახსნილები. მათგან წამოსული შენიშვნები და იდეები მნიშვნელოვანი იყო გეგმის სწორად შემუშავებისათვის.

5. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. აქედან ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ყველაზე იმედისმომცემ და განვითარებად მიმართულებებად ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2018 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 676 საწარმო. ზომის მიხედვით 17 საშუალო, 3 მცირე და დანარჩენი მიკრო საწარმოდ კლასიფიცირდება. 2018 წლის მონაცემებით რეგისტრირებული კომპანიების რაოდენობის მიხედვით ვაჭრობა ლიდერობს 48%-ით, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას აქვს 13%, მრეწველობას -11%, სოფლის მეურნეობას 4%, მშენებლობას -3%. დეტალური ინფორმაციის ნახვა კერძო სექტორის კომპანიების შეახებ ნახვა შესაძლებელია დანართ ბ-ს N1 ცხრილში. მუნიციპალიტეტში საწარმოთა რეგისტრაციის მონაცემები სფეროების მიხედვით 2014 წელთან შედარებით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 36%-ითაა გაზრდილი. სამუშაო ჯგუფის მონიტორინგის შედეგად დადგინდა რომ რეგისტრირებულ საწარმოებში აქტიურ საწარმოთა ხვედრითი წილი შეადგენს დაახლოებით 22%, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისთვის არახელსაყრელი გარემოა.

ჩატარებული გამოკითხვებისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ღირებულებათა ჯაჭვში მთავარი შემადგენელი ნაწილი გამოკვეთილი არ არის. ათწლეულობის განმავლობაში ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო

სოფლის მეურნეობა, კერძოდ ჩაის წარმოება გადამუშავება, მესიმინდეობა, მეციტრუსეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა და შესაბამისად ხილისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა. დღეის მონაცემებით სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 30 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 261 კაცი) და 45 საშუალო ზომის ფერმერული მეურნეობით. მათი ძირითადი ნაწილი რეგისტრირებული არ არიან, როგორც საწარმოები. 2023 წლის პირველ იანვრამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მწარმოებლები გათავისუფლებული არიან დასაბეგრი შემოსავლიდან, აღნიშნული არ ავალდებულებთ, პირველადი პროდუქციის მწარმოებლებს რეგისტრაცია გაუკეთონ თავიანთ საქმიანობას. დღეისათვის დარგის განვითარების ჩავარდნა გამოწვეულია პირველ რიგში გასაღების ბაზრის დახურვით. ანალიზის შედეგად დადგინდა რომ, აღნიშნული უკავშირდება ეკონომიკურ-პოლიტიკური ცვლილებებით, რის გამოც დაიხურა ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზრები, ხოლო ახალი გასაღების ბაზრის მოპოვება დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხსა და რეკლამირებასთან, რაც დიდი რაოდენობით ინვენსტიციას მოითხოვს.

ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში ეკონომიკის ჯაჭვში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი მეთხილეობას უჭირავს, რომლის რეალიზაციიდან შემოსული თანხები მოსახლეობის 80%-ის ძირითად წყაროს წარმოადგენდა და ჭარბობდა ამ დარგის სხვა სახიდან მიღებულ შემოსავლებს ჯამში. ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულმა მავნებლებმა (კერძოდ აზიური ფაროსანა) და ასევე სოკოვანმა დაავადებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა მოსავლის რაოდენობა, გააუარესა ხარისხი, ასევე დააზიანა თხილის ნარგაობა. სახელმწიფომ დიდი სახსრები გაიღო მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად, ღონისძიებებში ჩართულია ადგილობრივი ხელისუფლებაც. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირის პერიოდის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად ითვლებოდა ჩაის წარმოება. აღნიშნული გამოწვეული იყო მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობებითა და მდებარეობით. ცნობილი პოლიტიკური პროცესების გავლენით ბოლო წლების განმავლობაში ჩაის წარმოება სრულიად განადგურდა, გავერანდა არსებული ჩაის პლანტაციები, განადგურდა ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები. აღნიშნულმა პროცესმა დიდი დაღი დაასვა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის მდგრადობას. დაახლოებით 60%-ით გაიზარდა უმუშევრობის დონე, გაიზარდა სამუშაო ძალის მიგრაცია.

დღეისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ჩაის გადამამუშავებელი საწარმო. აღსანიშნავია, რომ საწარმო დაახლოებით 2%-ის დატვირთვით მუშაობს. ეს გამოწვეულია გასაღების ბაზრის და ნედლეულის უქონლობით. გასაღების ბაზარზე გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ ბაზარი ფაქტიურად გაჯერებულია უხარისხო პროდუქციით. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით გადადგმულია ნაბიჯები გასაღების ბაზრის მოპოვების მიზნით. 2018 წლიდან საწარმოთი და პროდუქციის წარმოების პროცედურით ეგრეთ წოდებული „ჩაის გზით“ დაინტერესდნენ ტურისტები.

მიმდინარეობს მოლაპარაკება მუნიციპალიტეტში არსებულ ტბორებში სათევზე მეურნეობების აღდგენისათვის. სოფლის მეურნეობის კუთხით მუნიციპალიტეტის ძლიერ მხარედ შეიძლება განიხილოს საუკეთესო პირობები კენკროვანი კულტურის განვითარებისათვის, რომლის რეკლამირებაზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის მხრიდან და მიღწეულია კონკრეტული შედეგები.

სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული ანალიზით დადგინდა, რომ მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის ძირითად მიმართულებად განხილული უნდა იქნას ტურიზმის განვითარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდიდარია საკურორტო

რესურსების თვალსაზრისით კერძოდ, ზღვისპირა კურორტ გრიგოლეთში პლაჟზე არსებული ქვიშა შეიცავს მაგნიტურ ნაწილაკებს, კურორტს აქვს პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური, სამედიცინო პროფილი. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი მზარდი სექტორია ბოლო სამი წლის მონაცემებით. 2016 წელს ვიზიტორთა რაოდენობა იყო 4100 კაცი, ხოლო 2018 წელს 25 %-ით გაზრდა.

დღეისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 16 საშუალო ზომის სასტუმრო, რომლებშიც საწოლების რაოდენობა შეადგენს 550 და 7 საოჯახო სასტუმრო - 140 საწოლით. ტურიზმის განვითარებისთვის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკის დაცული ტერიტორიები. მერის ინიციატივით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს კოლხეთის ეროვნული პარკის პოპულარიზაციისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის ღონისძიებების დაგეგმვაზე, რაც ასახულია სამოქმედო გეგმაში. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, შიდა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკლებობისა და გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურის, ასევე დაბალი ცნობადობის გამო, მუნიციპალიტეტი არ განიხილება აქტიურ ტურისტულ ზონად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი უკეთ უნდა იქნას გამოყენებული და ათვისებული ბიზნეს სექტორის მხრიდან, რისთვისაც საჯარო სექტორის მხრიდან საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი პროექტები და ღონისძიებები.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ბიზნესმენტა და მეწარმეთა საქმიანობის წახალისება. კერძოდ, მუნიციპალიტეტში დაფუძნებულია და ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრი“, რომელიც ორგანიზებას უწევს მეწარმეთა და ბიზნესმენტა შეკრებებს, რაც თავის მხრივ, ავითარებს მათ ურთიერთთანამშრომლობას და აზრთა გაცვლა-გამოცვლას. მსგავს შეხვედრებზე ჟღერდება სამეწარმეო კანონმდებლობა და მასში შეტანილი ცვლილებები.

ქვეყნის მასშტაბით, წლებია წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“ „დანერგე მომავალი“, „ახალგაზრდა მეწარმე“ და სხვა. მუნიციპალიტეტის სამსახურების და ა(ა)იპ-ის ხელშეწყობით ხდება ბენეფიციარების ინფორმირება, დახმარება ბიზნეს გეგმების შედგენაში. გვყავს გამარჯვებულები.

ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრი“ ორგანიზებას უწევს საგრანტო კონკურსების პრეზენტაციებსა და შეხვედრებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და ფერმერებისთვის პროექტს ევროკავშირის დაფინანსებით „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (enpard საქართველო) ფარგლებში. გვყავს გამარჯვებულები.

კერძოს სექტორის წარმომადგენელთა შორის ქსელური კავშირი ფაქტიურად ძალიან სუსტია. გამომდინარე აქედან კერძო სექტორის წარმომადგენელ წვლილი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაში, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში და შესაბამისად რეალური თვითმმართველობის დამკვიდრებაში არასაკმარისია. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით იგეგმება მეწარმეთა კავშირის შექმნა, სადაც იმოქმედებს სამი P-ის პრინციპი (სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობა)

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალური სამსახურების აქტიური ჩართულობით ხდება მობილური კოორდინაცია ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი მუნიციპალური პროგრამების განხორციელებასთან მიმართებაში, აღნიშნული ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის“ ხელშეწყობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა 51 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. კოოპერატივები ფუნქციონირებს ძირითადად მეჩაიეობის, მეფუტკრეობის და მეთხილეობის კუთხით, ასევე ფუნქციონირებს რძის პროდუქტების მწარმოებელი კოოპერატივი. ზოგ შემთხვევაში ლანჩხუთში წარმოებული თაფლი, თხილი და ჩაი გადის ექსპორტზეც. ცენტრი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო და ადგილობრივი დაფინანსების პროგრამების მეწარმეთათვის უკეთ გაცნობაში და კვალიფიციურ დახმარებას უწევს პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს. მერია აღნიშნული ცენტრის მეშვეობით გარკვეულ წარმატებებს აღწევს აგრეთვე ტურიზმის სფეროში. აღსანიშნავია ასევე, რომ ა(ა)იპ-ს თაოსნობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ჰყავს დამეგობრებული ქალაქები, რომლებთანაც თანამშრომლობა ხელს უწყობს ეკონომიკურ, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ, ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის შესაძლო რეალიზაცია-იმპორტს. დეტალური ინფორმაცია ადგილობრივი თანამშრომლობის შესახებ იხილეთ დანართი ბ-ს N2 ლეთ დანა

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტს წარმოადგენს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების გაზრდისა და ხელისუფლების საქმიანობის ღიაობის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს კორუფციის დონის შემცირებას საჯარო ადმინისტრირების პროცესში. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვთ გამოცდილება პროაქტიულად მიაწოდონ ინფორმაცია და სერვისები ბიზნეს კომპანიებს. ინფორმაციის მიწოდება ხდება მოთხოვნის შესაბამისად რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მათ მიმართ მიდგომები ზოგიერთ შემთხვევაში სუბიექტურია. განსაკუთრებით დამწყებ მეწარმეებს უმწეოდებათ არსებულ საკანონმდებლო ნორმებსა და რეგულაციებზე ინფორმაციის მოძიება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლობა ადგილობრივ ფერმერებთან პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო სახის შეხვედრებს და ასევე ფერმერებს ინდივიდუალურ კონსულტაციებსაც უწევენ. შეხვედრებსა და კონსულტაციებს მეწარმეებთან ატარებენ აგრეთვე ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრი“, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა შეიქმნას ბიზნესისთვის საკონსულტაციო ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც დაეხმარება დამწყებ და არსებულ ბიზნესებს, ბიზნეს გეგმების მომზადებასა და დაფინანსების მოპოვებაში.

მიუხედავად მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაერთი მცდელობისა, დღემდე დაბალია საკრებულოს სხდომებზე მოსახლეობის, კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის დონე. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი: <http://www.lanchkhuti.gov.ge/> და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე <https://tenders.procurement.gov.ge/> და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა

და ყველა გადაწყვეტილება იტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე. სააგენტოს დავების განხილვის საბჭო განიხილავს ყველა შესულ საჩივარს.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მუნიციპალიტეტი მზარდი სექტორების გამოწვევები იხილეთ დანართ ბ-ს N3 ცხრილში.

6.4. წვდომა ფინანსებზე

ფინანსური რესურსების მოძიება ძირითადად შესაძლებელია საქართველოში მოქმედ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო და დონორ ორგანიზაციებში, ასევე სხვადასხვა მოქმედ სახელმწიფო პროგრამებში, რომლებიც ითვალისწინებს ფინანსური რესურსებით მხარდაჭერას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ააიპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი და მუნიციპალიტეტში მოქმედი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა მეტნაკლებად წარმატებით ახორციელებენ სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელ პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირებას და დაინტერესებას. თუმცა სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცედურები არც, თუ იშვიათად ბიუროკრატიულია, დროში იწელება და კერძო სექტორი არჩევს საკუთარი კერძო შეზღუდული რესურსებით განახორციელოს დაწყებული საქმიანობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს სამი საბანკო და სამი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლებიც გასცემენ სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებსა და აგროსექტორისათვის 5000 ლარამდე ყოველგვარი გირაოს გარეშე, თუმცა სესხის პროცენტი საკმაოდ მაღალია. სესხის მეტ ოდენობაზე საბანკო მოთხოვნები იზრდება და ბიზნეს კომპანიები დამატებით სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო გირაოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ სესხების გაცემის საკითხი განიხილება ბანკების რეგიონულ და სათაო ოფისებში, რაც დამატებითი ბარიერია ბიზნეს სექტორისთვის. ბიზნესანვითარებისა და ინოვაციებისაწვდომობისა და ინოვაციების ციხილეთლიადომობისსა N4 ილეთლიად

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

2018 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 222683ა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 135003ა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არ გააჩნია. დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემდეგნაირად არის განაწილებული: სახნავი - 118583ა, მრავალწლოვანი ნარგავები - 45723ა, საძოვარი - 36143ა. სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული იქნა კერძო სექტორის მიერ დაფიქსირებული საჭიროების ანალიზი. ანალიზი გაკეთდა, როგორც შემოსული განცხადებების, ასევე ინდივიდუალური გამოკითხვების საფუძველზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უძრავ ქონებაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, რაც ვერ კმაყოფილდება რამდენიმე მიზეზის გამო. ქონების დიდი ნაწილი დაურეგისტრირებელია, რაც მუნიციპალიტეტის სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა გატარდეს ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არარეგისტრირებული მუნიციპალური ქონების დარეგისტრირების მიზნით. რეგისტრირებული მუნიციპალური ქონების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს ძირითად (განუსხვისებელი) ქონებას. რეალური ვითარებიდან გამომდინარე აღნიშნული ქონების

გამოყენება მუნიციპალური დანიშნულებით საჭირო არ არის. საჭიროა მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტაცია აღნიშნული ქონების დამატებითი ქონების კატეგორიაში გადაყვანის მიზნით.

2018 წლის განმავლობაში ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტში გასხვისებული იქნა 14 დასახელების უძრავი ქონება. იჯარით გაცემულია 8 დასახელების უძრავი ქონება, საიდანაც წლიური შემოსავალი შეადგენს 38733 ლარს. სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებული ანალიზით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტს უძრავი ქონების სახით საკმაოდ პოტენციური გააჩნია, რომლის ძირითადი ნაწილი გამოუყენებელია.

როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალური აუთვისებელი უძრავი ქონება (მიწა, შენობა-ნაგებობა) განთავსებულია როგორც სახმელეთო ასევე საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო მაგისტრალების მიმდებარედ, რაც კერძო სექტორის წარმომადგენელთა დიდ დაინტერესებას იწვევს. საკითხის დეტალურად განხილვისას გამოიკვეთა ინვენსტორთა მხრიდან მოთხოვნა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. ხელმძღვანელობის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კონკრეტულ მიწის ნაკვეთებზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის გამოცხადების მიზნით საკითხი დასმულია საქართველოს მთავრობის წინაშე. მიმდინარეობს საჭირო დოკუმენტაციების მომზადება. მიწისა და ინფრასტრუქტურის საჭიროებებზე ინფორმაცია მოცემულია დანართ ბ-ს N5 ცხრილში.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციები საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს განსაზღვრისთვის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ჭრილში საკმაოდ შეზღუდულია და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენს.

საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურები სხვა ქვეყნებთან შედარებით მარტივია. ნებისმერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ერთ დღეში დაარეგისტრიროს თავისი ბიზნესი. რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სახლი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულია შემდეგი სახის ადგილობრივი მოსაკრებელი: მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, სათამაშო ბიზნესის და მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გაცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი. აღნიშნული მოსაკრებლები, საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტით იმგვარად არის განსაზღვრული, რომ არ ზღუდავს ბიზნეს სუბიექტების განვითარებას.

ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გარკვეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს რიგი გაუმართლებელი რეგულაციები და სხვა ადმინისტრაციული ბარიერები. უნდა აღვნიშნოთ ხარვეზები მშენებლობის ნებართვის გაცემის კუთხით. დაინტერესებულ პირს უფლება არ აქვს, მის სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ააშენოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმო. საწარმოს აშენების მიზნით მშენებლობის სანებართვო მოწმობის მისაღებად, საჭიროა მას მიწის ნაკვეთი გააჩნდეს საკუთრებაში. მუნიციპალიტეტს არ აქვს უფლება, განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება (სიმბოლურ ფასად).

გარკვეული დაბრკოლებებით მიმდინარეობს მიწისა და ქონების საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესი, რაც ასევე ხელშემშლელი პირობაა ბიზნესის განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი რაოდენობის მიწის ნაკვეთები, რომლებიც კატეგორიის გამო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გასხვისებას. რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე აღნიშნული მიწებზე არ არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესი. საჭიროა მოხდეს მიწის კატეგორიის ცვლილება, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული. გართულებულია აგრეთვე საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის არა მომიჯნავედ მდებარე, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება.

ადგილობრივი რეგულაციების, მათ შორის პრივატიზაციის, აუქციონების მოწყობისა და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცედურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, რომლის წარმომადგენლებიც მოსახლეობის მიერაა არჩეული. შესაბამისად, ამ რეგულაციების მიღების პროცესი შედარებით გამჭვირვალეა. მარეგულირებელი კანონმდებლობის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე მათ გავლენებზე ინფორმაცია ასახულია დანართ ბ-ს N6 ცხრილში.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

მუნიციპალიტეტში არ არსებობს არც ერთი პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდები სწავლას სხვა მუნიციპალიტეტებში აგრძელებენ, რომელთა უმეტესი ნაწილი უკან აღარ ბრუნდება. საკმაოდ დიდი ნაწილი კი რჩება ყოველგვარი განათლების გარეშე, რაც კიდევ ერთხელ ასაბუთებს ზრდასრულთა პროფესიული განათლების მექანიზმების არსებობის აუცილებლობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 2 პროფესიული სასწავლებელი და ერთი პროფესიული კოლეჯი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კადრების მომზადებას, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის მომართულებით. სამწუხაროდ დღეისათვის განადგურებულია შენობა-ნაგებობები და მატერიალური-ტექნიკური ბაზა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა, სადაც მდებარეობისა და შენობების ფართის გათვალისწინებით შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნა.

ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით პირველ რიგში საჭიროა ადგილობრივი ბაზრის კვლევა. კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს არსებული რესურსი და მოთხოვნადი პროფესიები.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება შესაბამის ა(ა)იპ-ის სპეციალისტის გადამზადება კვლევის ჩატარების მიზნით, ასევე კვლევისათვის საჭირო თანხა გათვალისწინებული იქნება ადგილობრივ ბიუჯეტში.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

გარე პოზიციონირებისა და მარკეტინგის კუთხით ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აქვს პერსპექტივა გადაიქცეს მიმზიდველ ადგილად ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით. რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. შავ ზღვასთან, კოლხეთის ეროვნულ პარკთან და ცენტრალურ ავტომაგისტრალთან სიახლოვე მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისთვის. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი ინვენსტიციები განახორციელა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით. მოწესრიგდა

საგზაო ინფრასტრუქტურა, აშენდა თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაღები, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სოფლების ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი მდებარეობა, აუთვისებელი უძრავი ქონება (მუნიციპალური მიწები და შენობა-ნაგებობები), ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა მუნიციპალიტეტს მიმზიდველს ხდის ინვესტორებისთვის, რომელთაგანაც შემოთავაზებები უკვე არსებობს.

ლანჩხუთში გამართული სხვადასხვა ფესტივალი და კულტურული ღონისძიება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის პოზიციონირებას საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბით. განსაკუთრებით აღსანიშნავია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული „ლელოს“ ღონისძიება, რომელიც ტრადიციულად სოფელ შუხუთში იმართება ყოველ წელს აღდგომის დღესასწაულზე. ღონისძიებაზე მრავლად ჩამოდიან როგორც ადგილობრივი ასევე უცხო ტურისტები. ღონისძიების ორგანიზების სრულყოფის მიზნით სამოქმედო გეგმაში დასახულია ღონისძიებები.

6. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
